საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 21 0000026045

25/01/2021

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 04 აგვისტოს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა N659802 სააკრედიტაციო განაცხადი „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის.

2.2 ცენტრის დირექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს №691935 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის №997897 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 16 ნოემბერს დისტანციურად განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - საქართველო სფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 21 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა *2020 წლის 28 დეკემბერს.* სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ *ნ აწილობრივ გაიზიარა* ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე - 2 სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი
“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ თხუთმეტი ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1.დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველო სფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს *2021 წლის 25 იანვრის №25281 სხდომის ოქმის №01 ნაწილი* ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

4.1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „პათოლოგიური ანატომია“ მოდიფიცირება „პათოლოგიის“ სახით და უკანასკნელის ფარმაკოლოგიისა და შინაგან სნეულებათა საფუძვლების წინაპირობად განსაზღვრა;

4.2. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებისა და შემთხვევაზე ორიენტირებული სწავლების გამოყენება.

რჩევები:

1. სწავლების მეთოდების არჩევისას სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინება; სიმულატორზე პრაქტიკული უნარების სწავლების გაზიარება ერთეული სასწავლო კურსებიდან უმეტეს კლინიკურ სასწავლო კურსებში;

2. სასურველია დაზუსტდეს ჩანაწერები უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულებაში, რომლის თანახმადაც სტუდენტი გაიგივებულია ბაკალავრთან და უკანასკნელის მიერ დადგენილ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობა განსაზღვრულია, როგორც ბაკალავრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი;

3. შესაძლებელია სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება და სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებისას, შეფასების კრიტერიუმების კონცენტრირება პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებაზე;

4. ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება გაცვლითი პროგრამებითა და საერთაშორისო პროექტებით, ასევე უცხოელი ლექტორების ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში;

5. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის მუდმივი განახლება;

6. სტუდენტური სერვისების გაძლიერება, კარიერული სერვისების გაძლიერება, სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობისათვის, სტუდენტების ჩართულობა თვითშეფასების გუნდში;

7. დამატებითი წახალისების მექანიზმების შემუშავება რიგი აკადემიური პერსონალისათვის, რომელთ შრომებს გააჩნიათ მაღალი სამეცნიერო ღირებულება, იძებნებიან Scopus ბაზაში, და გამოირჩევიან მაღალი h ინდექსით;

8. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწა და პროგრამის სპეფიციკაზე ორიენტაცია. მეტი გამჭირვალეობის უზრუნველყოფა;

9. მჭიდრო უკუკავშირის უზრუნველყოფა დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებთან;

10. გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების გამრავალფეროვნება, პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების/ორგანიზაციების ჩართვა გარე ხარისხის შეფასებაში;

11. დამსაქმებელთა რეკომენდაციების გათვალისწინება პრაქტიკული უნარ-ჩვევების, კომუნიკაციის უნარებისა და გუნდური მუშაობის უნარების გაძლიერების მიზნით).

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 28 დეკემბერს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა